



შპს „საქართველოს მელიორაცია“

ტექნიკური დავალება

კასპის მუნიციპალიტეტში „თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ70+48-დან პკ71+68-მდე მონაკვეთზე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების, პკ29+77-დან პკ30+09-მდე არსებული აკვედუკის და პკ118+65 მოწყობილი წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაციის“ პროექტირება-მშენებლობის Design Build-ის მეთოდით განხორციელებაზე

შინაარსი

I	ობიექტის ადგილმდებარეობა. პროექტირებისა და მშენებლობის განხორციელების მეთოდები	
II	პროექტირება-მშენებლობის ობიექტების არსებული მდგომარეობის ზოგადი აღწერილობა	
III	პროექტირების და მშენებლობის მიზანი	
IV	პროექტირება-მშენებლობის ეტაპები	
V	პროექტის ექსპერტიზა	
VI	პროექტის მიმართ ზოგადი მოთხოვნები	
VII	საველე კვლევები	
VIII	დეტალური საინჟინრო პროექტის სამუშაო ვერსიის (ექსპერტიზამდე) შემადგენლობა	
IX	საპროექტო დოკუმენტაციის და ანგარიშების წარდგენა	
X	კონტრაქტორის და დამკვეთის ვალდებულებები	
XI	პროექტირებისა და მშენებლობის განხორციელების ვადები (იხ.დანართი: გრაფიკი)	
XII	პროექტირების, ექსპერტიზის და მშენებლობის კალენდარული გრაფიკი (დანართი)	

ტექნიკური დავალება

I. ობიექტის ადგილმდებარეობა. პროექტირებისა და მშენებლობის განხორციელების მეთოდები:

1. ობიექტის ადგილმდებარეობა: შიდა ქართლის რეგიონი, კასპის მუნიციპალიტეტი, სოფლები ლამისყანა და ოკამი (თან ერთვის სიტუაციური რუკა).
2. პროექტირების და მშენებლობის განხორციელების მეთოდი:
 - 2.1 პროექტირება და მშენებლობა (Design-build)-ის მეთოდით.
 - 2.2 სამ ეტაპიანი პროექტირება-მშენებლობა

II. პროექტირება-მშენებლობის ობიექტების არსებული მდგომარეობის ზოგადი აღწერილობა:

1. თეზი-ოკამის სარწყავი სისტემა ექსპლუატაციაშია 1955 წლიდან.
2. არხის გამტარუნარიანობაა - 5.0 მ³/წმ-ში.
3. მაგისტრალური არხის პკ 29+77 დან პკ30+09 მდე მონაკვეთზე არსებული რკ.ბეტონის აკვედუკი (2,0x2,0მ) ავარიულია. აკვედუკის კედლები და ბურჯები ეროზირებულია, გაშიშვლებულია არმატურები. აკვედუკს არ გააჩნია ავარიული წყალსაგდები;
4. მაგისტრალური არხის პკ 70+48 დან პკ71+68-მდე საპროექტო მონაკვეთი წარმოადგენს მიწის არხს, რომელიც განიცდის ფილტრაციას და აზიანებს ამ მონაკვეთში არსებულ ეკლესიას.
5. მაგისტრალური არხის პკ 118+65 ზე მოწყობილი წყალსაგდები პკ03+31 დან პკ05+59 მდე დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენას.

III. პროექტირების და მშენებლობის მიზანი:

პროექტმა და განხორციელებულმა სამუშაოებმა უნდა უზრუნველყოს:

1. თეზი-ოკამის მაგისტრალური არხის პკ 29+77 დან პკ30+09-მდე მონაკვეთზე არსებული რკ.ბეტონის ავარიული აკვედუკის (2,0x2,0მ) კონსტრუქციული მდგრადობა/საიმედობა;
2. თეზი-ოკამის მაგისტრალური არხის პკ 70+48 დან პკ71+68 მდე მონაკვეთში ფილტრაციული წყლების გამოდინების აღკვეთა და არხის საპროექტო ხარჯის შეუფერხებელი გატარება.
3. თეზი-ოკამის მაგისტრალური არხის პკ 118+65 ზე მოწყობილი ავარიული წყალსაგდების მდგრადობა/საიმედობა;

IV. პროექტირება-მშენებლობის ეტაპები:

2 (ორი) ეტაპიანი პროექტირება-მშენებლობა

1. პროექტირება-მშენებლობის I ეტაპი - მაგისტრალურ არხის პკ 29+77-დან პკ30+09-მდე მონაკვეთზე არსებული რკ.ბეტონის ავარიული აკვედუკის (2,0x2,0მ) და მაგისტრალური არხის პკ 70+08-დან პკ71+68-მდე მონაკვეთის პროექტირება-მშენებლობა.

1.1 შესასრულებელი სამუშაოები:

- 1.1.1 აკვედუკის (2,0x2,0მ) შიდა და გარე კედლებზე რკინაბეტონის დამცავი ფენის მოწყობა არმატურის ბადეზე;
- 1.1.2 აკვედუკის სექციებს შორის ნაკერების იზოლაცია თანამედროვე ჰიდროსაიზოლაციო მასალებით.
- 1.1.3 აკვედუკის ზედაპირზე მოაჯირების აღდგენა.
- 1.1.4 აკვედუკიდან მაგისტრალურ არხზე და მაგისტრალური არხიდან აკვედუკზე გადასვლის ადგილას რკ.ბეტონის ფილების მოწყობა.
- 1.1.5 აკვედუკის საყრდენ რკინაბეტონის ბურჯების გამაგრება რკ.ბეტონის პერანგით (გარსაცმით), შესაბამისად საძირკველში ჩაღრმავებით.
- 1.1.6 პკ 29+77 ზე აკვედუკის შესასვლელში წყალსაგდების მოწყობა მონოლითური რკ.ბეტონის ჭით და სარეგულაციო ფარით.
- 1.1.7 პკ 70+48 დან პკ71+68 მდე მაგისტრალური მიწის კალაპოტიანი ტრაპეციული კვეთის არხის რკინაბეტონით მოპირკეთება. დამცავი კედლის და მოაჯირის მოწყობა ეკლესიის მიმდებარედ.

1.2 პროექტირება - ერთსტადიანი პროექტი

დეტალური საინჟინრო პროექტის სამუშაო ვერსია (სრული პაკეტი, ექსპერტიზის ჩატარებამდე).

2. პროექტირება-მშენებლობის II ეტაპი - მაგისტრალური არხის პკ 118+65 ზე მოწყობილ წყალსაგდების პროექტირება-მშენებლობა.

2.1 შესასრულებელი სამუშაოები:

- 2.1.1 მაგისტრალური არხის პკ188+65-ზე მოწყობილ წყალსაგდებზე, პკ03+31 დან პკ05+59 მდე ახალი რკ.ბეტონის ტრაპეციული კვეთის არხის (წყალსაგდების) მოწყობა.

2.2 პროექტირება - ერთსტადიანი პროექტი

დეტალური საინჟინრო პროექტის სამუშაო ვერსია (სრული პაკეტი, ექსპერტიზის ჩატარებამდე).

V. პროექტის ექსპერტიზა

1. მშენებლობის ორივე ეტაპისათვის დამუშავებული დეტალური საინჟინრო პროექტების სამუშაო ვერსიის დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა ჩატარდება დამკვეთის მიერ დაქირავებული აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოს მეშვეობით, რომელიც განახორციელებს, როგორც მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას, ასევე პროექტების ექსპერტიზას, დამკვეთის მიერ პროექტების სამუშაო ვერსიების განხილვის, შეთანხმების და დადებითი შეფასების შემდეგ;
2. აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფეროს უნდა წარმოადგენდეს პროექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირებისა და პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (ჰიდროტექნიკური ნაგებობების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. ექსპერტიზას ექვემდებარება: პროექტის სახარჯთაღრიცხვო და კონსტრუქციული ნაწილები.

რისკები/გამოწვევები:

1. კონტრაქტორს უნდა გააჩნდეს სათანადო (მაღალი) კვალიფიკაცია, იმისათვის რათა:
 - ა) მის მიერ შერჩეულმა საპროექტო ორგანიზაციამ შეძლოს წინამდებარე ტექნიკური დავალების და ექსპერტიზის მოთხოვნების შესაბამისად დეტალური საინჟინრო პროექტის შემუშავება;
 - ბ) უზრუნველყოს დამკვეთის სათანადო ჩართულობა დეტალური საინჟინრო პროექტის შემუშავების, განხილვის და შეთანხმების პროცესში;
 - გ) უზრუნველყოს სამუშაოების მობილიზაცია და შემჭიდროებულ ვადებში შესრულება;
2. რეკომენდაცია კონტრაქტორს:

კონტრაქტორის მიერ მოწვეულ საპროექტო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს IV კლასის მაღალი რისკის ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაპროექტების გამოცდილება

VI. პროექტის მიმართ ზოგადი მოთხოვნები

დეტალური საინჟინრო პროექტი უნდა მომზადდეს:

1. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს მოთხოვნების გათვალისწინებით;
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი N-255 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით;
3. საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და ტექნიკური ნორმების სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დაცვით
4. მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ დამუშავებული:
 - ა) „სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულის“ მიხედვით;
 - ბ) „მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მიხედვით;
5. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად.
6. „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილების შესაბამისად.
7. „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისთვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების“ საქართველოს ყოფილი ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს 30.06.2003 წლის N9 ბრძანების შესაბამისად.

VII. საველე კვლევები

დეტალური საინჟინრო პროექტების სამუშაო ვერსიების (ექსპერტიზის ჩატარებამდე) დამუშავების დროს ტარდება:

1. არსებული ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა-ანალიზი

საპროექტო ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ადრე დამუშავებული დეტალური საინჟინრო პროექტების გაცნობა/ ანალიზი.

2. საველე-სადიებო სამუშაოები ადგილის კვლევა და ინვენტარიზაცია

2.1 საველე-სადიებო სამუშაოები, ადგილის კვლევა და ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს სამშენებლო ნორმების და წესების (სნწ) მოთხოვნის შესაბამისად, რომლის დროსაც:

2.1.1 ტარდება დასაპროექტებელი ობიექტის ინვენტარიზაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს: სქემატურ ნახაზებს, არსებული მდგომარეობის დეტალურ აღწერილობას და განსახორციელებელი ღონისძიებების ვარიანტების საველე ჩანაწერებს. ინვენტარიზაციის დოკუმენტაციას თან უნდა ერთოდეს ფოტომასალა.

2.1.2 მუშავდება დასაპროექტებელი ობიექტის განთავსების გეოსაინფორმაციო (GIS) პროექტი (სიტუაციური რუკა) სათანადო დეტალიზაციით, მასშტაბში 1:10000 განახლებული მონაცემებით, UTM კოორდინატთა სისტემაში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ფენებს:

ძირითადი ფენები:

დასაპროექტებელი არხის მონაკვეთი, აკვედუკი, წყალსაგდები, საექსპლუატაციო გზები და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობები.

ზოგადი ფენები:

- ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, გაზსადენების, საინჟინრო-კომუნალური ქსელების და სხვა ნაგებობების ძირითადი ფენების ნაგებობებთან განთავსება ფოტოსურათებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ბ) არხის და ნაგებობების გასხვისების ზოლში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწათმოსარგებლეთა არსებული ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები (სამეურნეო დანიშნულების ობიექტები).

2.1.3 ტარდება ტოპო გადაღება და გეგმების შედგენა:

- ა) ტოპოგადაღება უნდა აკმაყოფილებდეს ჰიდროტექნიკური ნაგებობების და სამელიორაციო სისტემების ტოპო გადაღების სიზუსტის მოთხოვნებს;
- ბ) მოცემული უნდა იყოს ტოპო გადაღებისას გამოყენებული რეპერების სრული აღწერა ფოტოსურათებით;
- გ) გეგმებზე და გრძივ პროფილებზე ნაჩვენები უნდა იყოს ყველა ნაგებობა და რელიეფის ორიენტირები მასშტაბში 1:2000 და გადაღებული განივი კვეთები 1:100 მასშტაბში, როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად;
- დ) საპროექტო გადაწყვეტილებები გენგეგმაზე დატანილი უნდა იქნეს UTM კოორდინატთა სისტემაში (რეფერენსირებული ყველა საპროექტო ნაგებობა) მასშტაბში 1:2000, 1:100 ან 1:200 ზომით 20X20 მ, WGS 84 პროექციით, DWG და SHP ფაილებში (ელ.ვერსია).

VIII. დეტალური საინჟინრო პროექტის სამუშაო ვერსიის (ექსპერტიზამდე) შემადგენლობა:

1. პროექტის მოკლე ანოტაცია;
2. პროექტის განმარტებითი ბარათი;
3. წინასაპროექტო კვლევის შედეგები-საველე ინვენტარიზაცია, ტოპოგოდეზიური მასალები, გასხვისების ტერიტორია, საინჟინრო კომუნიკაციები, სანებართვო დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში), ადრე დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება და სხვა;
ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია და განსახორციელებელი ღონისძიებების ვარიანტები, წინასწარ განხილული და შეთანხმებული უნდა იქნეს კომპანიის შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ სამსახურთან და თეზი-ოკამისა და დოეს-გრაკალის სერვის-ცენტრთან.
4. პროექტის გრაფიკული ნაწილი (დეტალური საამშენებლო-საინჟინრო ნახაზები);
5. მშენებლობის ორგანიზაციის და ტექნოლოგიის რეკომენდაციები;
6. სამუშაოთა წარმოების საორიენტაციო კალენდარული გეგმა, მშენებლობის ეტაპებად განხორციელების გათვალისწინებით;
7. ტექნიკური სპეციფიკაციები;
8. კონფიდენციალური ხარჯთაღრიცხვები;
9. პროექტში მოცემული უნდა იყოს:
 - 9.1 მიწის ნაკვეთ(ებ)ის და გასხვისების ზოლების სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
 - 9.2 ჰ/ნაგებობის ტექნიკური უსაფრთხოების შესაფასებლად საჭირო სრული ინფორმაცია, მათ შორის ჰ/ნაგებობების კონსტრუქციული მდგრადობის და ჰიდროგეოლოგიური კვლევების ანგარიშები;
 - 9.3 მშენებლობის პროცესში გასათვალისწინებელი უსაფრთხოების ნორმები მოქმედი რეგლამენტის და ნორმების მითითებები.

პროექტის განმარტებითი ბარათი.

1. პროექტის განმარტებით ბარათში აღწერილი უნდა იყოს არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო ანგარიშები, რუკები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.);
2. განმარტებით ბარათში მოცემული უნდა იყოს:
 - ა) ტექნიკური დავალება დანართის სახით;
 - ბ) შესავალი და ზოგადი მიმოხილვა;
 - გ) მშენებლობის, დემონტაჟის, მონტაჟის, აღჭურვის და კონსტრუქციული გადაწყვეტილებების დასაბუთება და სხვა ანგარიშები, შესაბამისი გრაფიკული ნახაზები დეტალიზაციით და საამშენებლო მასალების სტანდარტებით და სპეციფიკაციით.
 - დ) განსახორციელებელი სამუშაოთა ჩამონათვალი და მოცულობები, სამშენებლო მასალების, საჭირო მანქანა-მექანიზმების, ტექნიკის და მუშახელის რაოდენობის ცხრილები;

პროექტის გრაფიკული ნაწილი (გეგმები, სქემები და დეტალური საამშენებლო-საინჟინრო ნახაზები)

პროექტის გრაფიკულ ნაწილში მოცემული უნდა იყოს:

1. დეტალურ სამშენებლო-საინჟინრო ნახაზები, რომლებზეც ნაჩვენებია უნდა იყოს:
 - ა) დასაპროექტებელი მაგისტრალური არხის ტრასის, აკვედუკის და წყალსადების განთავსების ტოპო-გენგემა ორთოფოტოზე და ცალკე 1:10000 მასშტაბში;
 - ბ) მაგისტრალური არხის ტრასის გრძივი პროფილი 1:2000 (1:1000) მასშტაბში;
 - გ) ორიენტირები კოორდინატებით. განივი კვეთების მდებარეობა ნაჩვენებია უნდა იყოს ტოპოგრაფიული რუკის ზოლზე 1:10000 მასშტაბში, 100მ სიგრძის მონაკვეთებზე (10 მ სიგანის არხის ღერძის ხაზის ორივე მხარეს). განივები წარმოდგენილი უნდა იყოს 1:100 მასშტაბში;
 - დ) ნახაზები უნდა დამუშავდეს მხოლოდ A3 ფორმატში, როგორც ნაბეჭდი ასლის, ასევე ელექტრონული ვერსიის ფორმით.

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტში და ტექნოლოგიის რეკომენდაციებში მოცემული უნდა იქნეს:

1. სამშენებლო ტექნიკის და საშენი მასალებისთვის განკუთვნილი ადგილი;
2. დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
3. დაფარული სამუშაოების, დათვალიერებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალი, რაც მშენებლობის პროცესის დროს უნდა შედგეს;
4. სამშენებლო ნაგვის დაყრის ადგილი, შეთანხმებული კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
5. სამუშაოების წარმოების მეთოდები;
6. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების და ღონისძიებების აღწერა;
7. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა იყოს იმდენად დეტალური, რომ იძლეოდეს მშენებლობის განხორციელებისათვის ამომწურავ ინფორმაციას.

სამუშაოთა წარმოების საორიენტაციო კალენდარულ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს:

1. მშენებლობის განხორციელების ეტაპების და მათი ხანგრძლივობის აღწერა;
2. მშენებლობის განხორციელების გრაფიკი მშენებლობის ეტაპების გათვალისწინებით;
3. მთლიანი შრომატევადობა (კვალიფიცირებული მუშახელი და დამხმარე მუშახელი - კაც/სთ ან კაც/დღე);
4. სამშენებლო მანქანა-მექანიზმების (მანქანა/საათები მექანიზმების ტიპის მიხედვით) ტექნიკური პარამეტრები და ობიექტის სხვა მახასიათებლები;

ტექნიკური სპეციფიკაციები ცალკე უნდა დაერთოს პროექტს და უნდა მოიცავდეს:

1. კონტრაქტორისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს;
2. დეტალურ სპეციფიკაციებს, ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით (GOST, ISO, DIN, BS) და ა.შ;
3. გამოყენებული მასალების ხარისხის კონტროლის მოთხოვნებს;
4. შესასყიდი საქონლის მახასიათებლების სტანდარტებს;
5. პროექტში გამოყენებული კონსტრუქციები და სხვა ნაკეთობები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ტექნიკურ სერთიფიკატებს, სტანდარტებს,

სამშენებლო ნორმებს და წესებს; უნდა შეესაბამებოდეს ნაგებობათა კლასებისათვის დადგენილ რისკობრივ მახასიათებლებს;

- პროექტმა პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს საქართველოში წარმოებული სამშენებლო მასალები, მოწყობილობები, კონსტრუქციები და ნაკეთობები;
- დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. ასეთ შემთხვევაში ობიექტის აღწერისას გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი ტერმინები როგორცაა: „მსგავსი“, „ეკვივალენტური“ და სხვა.

კონფიდენციალური ხარჯთაღრიცხვები შედგენილი უნდა იყოს მოქმედი და კომპანიასთან შეთანხმებული ფორმით. ხარჯთაღრიცხვების დამუშავებისას:

- გამოყენებული უნდა იქნეს მოქმედი ნორმატივები და მშენებელთა კავშირის მიერ გამოცემული (კვარტალური) რესურსების განფასების შიფრი;
- მითითებული უნდა იყოს: ბეტონის მარკა, არმატურის კლასი, გრუნტის კატეგორია, ღორღის ფრაქცია, ნაკეთობების მარკა, სისქე, (დიამეტრი) და სხვა აუცილებელი პარამეტრები;
- რკ.ბეტონის ფილის მოწყობის შემთხვევაში - ფილის სისქე, დულაბის მარკა, საჭირო დანამატი, ჩასაყოლებელი ბადის წონა და პარამეტრები;
- ხარჯთაღრიცხვაში ნაჩვენები სამუშაოების მოცულობები (მასში შემავალი ელემენტების გათვალისწინებით) უნდა შესაბამებოდეს ნახაზებში აღნიშნულ მოცულობებს და სპეციფიკაციებს.
- ხარჯთაღრიცხვაში ცალკე პოზიციად უნდა იყოს გამოყოფილი ფასწარმომქმნელი მასალების ღირებულება, მათი მოწყობა-მონტაჟის სამუშაოების და ტრანსპორტირების ხარჯები;

IX. საპროექტო დოკუმენტაციის და ანგარიშების წარდგენა

კონტრაქტორმა დამკვეთს უნდა ჩააბაროს :

- I და II ეტაპის მშენებლობის დეტალური საინჟინრო პროექტები ხარჯთაღრიცხვით (ექსპერტიზის ჩატარებამდე) - დაბეჭდილი ქართულ ენაზე თითოეული 3 (სამ) ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსიით, Autocad-ის და PDF ფაილის ფორმით.
- დამკვეთის მიერ დეტალური საინჟინრო პროექტის სამუშაო ვერსიების ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობაზე და ექსპერტიზის ჩატარებაზე დასკვნის გაცემა ხდება დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

X. კონტრაქტორის და დამკვეთის პასუხისმგებლობები და ვალდებულებები:

1. კონტრაქტორი პასუხისმგებელია:

1.1 დეტალური საინჟინრო პროექტების სამუშაო ვერსიების (ხარჯთაღრიცხვებით,ექსპერტიზის ჩატარებამდე) დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებასთან და თანამედროვე სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისად შემუშავებაზე და დამკვეთთან შეთანხმებაზე;

1.2 პროექტის მთავარი ინჟინერი პასუხისმგებელია საპროექტო დოკუმენტაციის სისწორესა და ხარისხზე.

1.3 პროექტის დამუშავებაში მონაწილე სპეციალისტი პასუხისმგებელია, მის მიერ შესრულებულ და ხელმოწერილ სამუშაოებზე (დოკუმენტაციაზე).

1.4 ექსპერტიზირებული დეტალური საინჟინრო პროექტების შესაბამისად სამუშაოების ეტაპობრივად, დადგენილ ვადებში და ხარისხიანად განხორციელებაზე.

2. ტენდერში მონაწილე კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას:

2.1 სატენდერო წინადადება წარმოადგინოს ობიექტის ადგილზე გაცნობის შემდეგ

2.2 სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით შეიტანოს კორექტივები ტექნიკურ გადაწყვეტილებებში და მოამზადოს შესაბამისი ცვლილებების დოკუმენტაცია;

2.3 მოამზადოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან შესათანხმებელი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში);

2.4 არ გადასცეს მესამე პირს საპროექტო დოკუმენტაცია.

3. დამკვეთი იღებს ვალდებულებას:

3.1 გადასცეს საპროექტო ორგანიზაციას მის ხელთ არსებული ტექნიკური და საინფორმაციო დოკუმენტაცია;

3.2 განიხილოს პროექტირებასთან, ექსპერტიზასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

3.3 უზრუნველყოს საპროექტო გადაწყვეტილებების ვარიანტების შეჯერებით საუკეთესო (კონცეპტუალური) ვარიანტის შერჩევა, დეტალური საინჟინრო პროექტის განხილვა და ექსპერტიზა.

4. დამკვეთი პასუხისმგებელია კონტრაქტორის მომსახურების კონტროლზე.

XI. პროექტირებისა და მშენებლობის განხორციელების ვადები (იხ.დანართი: გრაფიკი)

3. საპროექტო და საამშენებლო სამუშაოების განხორციელების ხანგრძლივობა (ვადა), მათი პარალელურად განხორციელების გათვალისწინებით შეადგენს 120 კალენდარულ დღეს (პროექტების განხილვა შეთანხმების დროის გარეშე) მათ შორის:

1.1 საპროექტო სამუშაოების განხორციელების ვადა, პროექტირების ცალკეული ეტაპების პარალელურად განხორციელების გათვალისწინებით შეადგენს 45 კალენდარულ დღეს.

1.2 საამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადა, მშენებლობის ცალკეული ეტაპების პარალელურად განხორციელების გათვალისწინებით შეადგენს 75 კალენდარულ დღეს.

2. კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთს წარუდგინოს საპროექტო დოკუმენტაცია, წინამდებარე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ 2 (ორი) ეტაპად, თანდართული კალენდარული გეგმით, განსაზღვრულ ვადებში;

3. დამკვეთი იტოვებს უფლებას:

- ა) მოითხოვოს პროექტირების მიმდინარეობა და განიხილოს სამუშაო რეჟიმში პროექტირების სტადიაზე მიღებული ტექნიკური გადაწყვეტილებები;
 - ბ) თითოეული ეტაპის საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისათვის, დადგენილ ვადაში (10 სამუშაო დღე) გასცეს შენიშვნები და დასკვნები წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე;
 - გ) უზრუნველყოს პროექტის ექსპერტიზა კონტრაქტორი ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიის მეშვეობით.
4. დამკვეთის მხრიდან თითოეული ეტაპის საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისათვის საჭირო დრო (10 სამუშაო დღე) არ შედის საპროექტო სამუშაოების განხორციელების საერთო ვადაში და გადაცილების შემთხვევაში, შესაბამისი ვადით გაიზრდება პროექტირება-მშენებლობის ვადები.

ვაჟა გუმბერიძე

მთავარი ინჟინერი

დემირი ევალაძე

სამსახურის უფროსი

გივი მეტრეველი

უფროსის მოადგილე

გაბრიელ მაზმიშვილი

რეგიონალური სამსახურის უფროსი

დავით ხუციშვილი

სერვის ცენტრის უფროსი

ზურაბ ქაჯაია

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე